**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საარჩევნო კომისიის**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 18

**21 აგვისტო 2012 წელი** **ქ. ბათუმი**

## საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 აგვისტოს №10 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 აგვისტოს №4 განკარგულებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში „გრაფა არაუგვიანეს 37-ე დღისა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | |
|---|---|---|
| არაუგვიანეს 37-ე დღისა | 25 აგვისტო შაბათი | 1. მთავრდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისათვის საარჩევნო კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის პროცედურები (აჭარის ა.რ. კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მუხლი 38 პუნქტი 7).<br>2. სარჩევნო სუბიექტების მიერ რიგითი ნომრის თაობაზე უსკოსთვის მიმართვის ბოლო დღე ( უსკოს განკ. №). |

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 აგვისტოს № 10 დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან.

**კომისიის თავმჯდომარე** **არჩილ მიქელაძე**

**კომისიის მდივანი** **ქეთევან ჯიქია**